პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

№ 14 (7575)

19 იანვარი, ხუთშაბათი, 1984 წ.

ფასი 3 კაპ.

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ნომერში:

● ხელფასი — შედეგების პროპორციულად
(პრობლემური წერილი ქართულ მძლეოსნობაზე. მე-2 გვ.)

● გუნდები... მწვრთნელები...
(ცვლილებები ფეხბურთის გუნდებში. მე-3 გვ.)

● „მე ჯერ კიდევ ბევრი უნდა ვისწავლო"
(წარმოგიდგენთ სარაევოს ოლიმპიადის ფავორიტებს. მე-4 გვ.)

● „მორჯულდა" კი იამასიტო?
(ინტერვიუ დაუმარცხებელ იაპონელთან. მე-4 გვ.).

რეფორმა: რა და როგორ?

● რას იგუებს სკოლა და რას — არა ● სპორტის სახეობა სასწავლო საგანი რომ იყოს... ● ფიზკულტურის მასწავლებლის რეკომენდაციით — ფიზკულტურის ინსტიტუტში ● რატომ ტოვებს სკოლას მასწავლებელი? ● დატვირთვა — მეტი, ხელფასი—იგივე

საბჭოთა სახალხო განათლების განვითარების სისტემაში თვისებრივად ახალი ეტაპი დგება. დღის წესრიგშია ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის საკითხი, რომლის განხორციელების შესახებაც გადაწყვეტილება მიიღო სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმმა.

ამ უდიდესი მოვლენის არსი ყველასთვის კარგადაა ცნობილი. ჩვენში უკვე შეიქმნა აუცილებელი სოციალური და ეკონომიკური საფუძვლები, რათა სახალხო განათლების სისტემა სადღეისო მოთხოვნების შესაბამისად გარდაიქმნას.

ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითადი მიმართულებები ახალგაზრდა თაობის სულიერი და ფიზიკური აღზრდის უმნიშვნელოვანეს საკითხებს მოიცავს. დასახულია ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრის მეცნიერულად დასაბუთებული გზა.

რეფორმის ძირითად მიმართულებებში, რაც საყოველთაო განხილვისთვის გამოქვეყნდა, ხაზგასმითაა მითითებული, რომ ჩვენი დროის ახალგაზრდა უნდა ეუფლებოდეს „ყველაზე თანამედროვე განათლებას, მაღალ ინტელექტუალურ და ფიზიკურ განვითარებას".

„ლელოს" დღევანდელ ნომერში მკითხველის სამსჯავროზე გამოგვაქვს სკოლის ძირითად მიმართულებათა განხილვისას წამოჭრილი რამდენიმე წინადადება და შენიშვნა.

სკოლა რომ სათუთი ორგანიზმია და მკვეთრ ცვლილებებს ძნელად ეგუება, ეს ცნობილი ჭეშმარიტებაა. ამიტომ, როცა ლაპარაკია არსებით გარდაქმნებზე, ისინი კარგად უნდა იყოს მოფიქრებული და გაანალიზებული. ბოლო წლებში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში ბევრი სიახლე დაინერგა, რამაც ხელი უნდა შეუწყოს და აამაღლოს მოსწავლეთა ფიზიკური აქტივობა. ეს ცვლილებები უმტკივნეულოდ მოხდა, პირიქით, თითქოს შეავსო კიდეც ის ვაკუუმი, რომელსაც სკოლა ვერ იმჩნევდა. მხედველობაში გვაქვს დილით მეცადინეობის დაწყებამდე გამაჯანსაღებელი ვარჯიშის სავალდებულო ჩატარება, „დიდი დასვენება", თვეში ერთხელ „ჯანმრთელობისა და სპორტის დღის" შემოღება და ა. შ. დასახელებული ღონისძიებები მოსწავლეთა ჯანმრთელობის განმტკიცებისკენაა მიმართული და, რაკი სასკოლო ფიზკულტურის მთავარი ამოცანაც სწორედ ესაა, სკოლამ, როგორც ვთქვით, ყოველივე უმტკივნეულოდ მიიღო. მაგრამ არის ისეთი მოთხოვნებიც, რომელსაც ცხოვრება, დიდი სპორტის ინტერესები აყენებს დღის წესრიგში და სკოლისთვის ხალისით მისაღები ვერ აღმოჩნდა. ჩანაფიქრი კარგია, მაგრამ ბევრი თავსატეხი გაგვიჩინა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ბავშვთა და მოზარდთა მოსამზადებელი ჯგუფების გადატანამ (სხვა რომ არაფერი, სპორტული ბაზები ერთ ან ორ სპორტულ სექციას დაეთმო, მოსწავლეთა დიდი კონტიგენტი კი კლასგარეშე ფიზკულტურულ წრეებში მეცადინეობის გარეშე დარჩა). ყველაფერი არც სპორტის ცალკეული სახეობების მიხედვით სპეციალიზებული კლასებისა და სკოლების გახსნით გამოდის ისე, როგორც სასურველია. ამ ღონისძიებებსაც რაღაც დისონანსი შეაქვს სკოლის ცხოვრებაში.

პოზიცია სწორია, სკოლაზე ყველამ უნდა ვიზრუნოთ, მათ შორის დიდი სპორტის ბილიკების მაძიებლებმაც, მაგრამ რა გზით და როგორ? აი, აქ არ უნდა გვიღალატოს ალღომ და ზომიერების გრძნობამ. როგორც ჩანს, სკოლის რეფორმაც ვერ გადაუხვევს ფიზიკური აღზრდის მთავარ მიმართულებას, მაშასადამე, ცხადია, სკოლას ყველამ უნდა მივხედოთ, ყველამ უნდა ვეძიოთ იქ ჩვენთვის საჭირო ოქროს მარცვალი, მაგრამ უცვლელი უნდა დარჩეს ძირითადი — მოსწავლეთა გაკაჟება-გაჯანსაღებისათვის ზრუნვა, ფიზიკური აღზრდის მჭიდრო კავშირი მოზარდთა შრომით, ესთეტიკურ, პატრიოტულ და ინტერნაციონალურ აღზრდასთან.

სპეციალისტებთან საუბარში დაიბადა აზრი, რომ იქნებ სჯობდეს სამუსიკო, სამხატვრო, ქორეოგრაფიული და სხვა მსგავსი სკოლების მიხედვით ასეთივე სტატუსის სპორტული სკოლებიც შეიქმნას. ითქვა, რომ ასეთი სკოლა, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისგან განსხვავებით, თამამად შეითვისებს დიდი სპორტის გაახალგაზრდავების ტენდენციას. ერთი შეხედვით ამ აზრში არის რაღაც რაციონალური, მაგრამ ეს ერთი შეხედვით. ზემოთ მოხსენებული სპეცსკოლები გარკვეულ ცოდნას და პროფესიულ უნარ-ჩვევებს აძლევენ მოზარდს, რას მისცემს სპეციალური სპორტული სკოლა მოსწავლეს?..

ახლა რამდენიმე სიტყვა ფიზიკური აღზრდის გაკვეთილზე. როგორც ცნობილია, სკოლაში ყველა საგნისა და მათ შორის ფიზიკური აღზრდის სწავლების ძირითადი ფორმა გაკვეთილია. ეს პრინციპი, ცხადია, რეფორმის შემდეგაც უცვლელი დარჩება. მაგრამ სხვა საკითხია, როგორ მივაღწიოთ იმას, რომ ფიზიკური აღზრდის გაკვეთილი მოზარდს აძლევდეს მისი მოთხოვნებიდან გამომდინარე მაქსიმუმს.

ჩვენ სავსებით ვიზიარებთ იმ სპეციალისტების აზრს, რომლებიც მოითხოვენ, რომ ყველა სკოლაში შეიქმნას აუცილებელი მატერიალურ-სპორტული ბაზა. ამ აზრს თვით სკოლის რეფორმაც უჭერს მხარს. „შეიქმნას მოწყობილობითა და ინვენტარით კარგად აღჭურვილი დარბაზები და მოედნები" — ვკითხულობთ რეფორმის ძირითად მიმართულებებში. ვფიქრობთ, აუცილებელიცაა ფიზიკური აღზრდის გაკვეთილებზე გოგონებისა და ბიჭების ცალ-ცალკე დაყოფა დაბალი კლასებიდანვე, როგორც ეს აზერბაიჯანის სკოლებშია. კარგი იქნება აგრეთვე ბალტიისპირეთის გამოცდილების გათვალისწინებით კვირაში თითოეული კლასისთვის ფიზიკური აღზრდის სამი გაკვეთილი ჩატარდეს. სკოლის დღის რეჟიმში, თვით სწავლების პროცესში მოსწავლეთა ფიზიკური აქტიობის ამაღლებისათვის შეიძლება კვირის კიდევ სამ დღეს ჩავატაროთ გაკვეთილები რომელიმე სპორტულ თამაშში, ვთქვათ, კალათბურთი შემოვიღოთ ცალკე საგნად. კალათბურთს ვამბობთ იმიტომ, რომ იგი ყველა სკოლისთვის ხელმისაწვდომია და ყველა მოზარდი ხალისით ეტანება. თუ ეს ღონისძიებები მისაღები იქნება, მაშინ მოსწავლეს შესაძლებლობა მიეცემა მთელი კვირის განმავლობაში ორგანიზებულად იმეცადინოს ფიზკულტურაში, კლასგარეშე სექციებში კი მიიღოს ის, რასაც მას სკოლაში ყოველდღიურად ერთი აკადემიური საათი ვერ მისცემს.

უმნიშვნელოვანეს საკითხთაგანია ფიზიკური აღზრდის მასწავლებელთა მომზადება. ლაპარაკია არა რაოდენობაზე, არამედ ხარისხზე, მათი კვალიფიკაციის დონეზე. საერთოდ, რესპუბლიკაში საკმაოზე მეტი გვყავს ფიზკულტურის მასწავლებელი. თუ რატომ არ მიდის სკოლაში სამუშაოდ ბევრი მათგანი, ეს ცალკე პრობლემაა და ამ თემაზე ქვემოთ გვექნება საუბარი. ჯერ ის ვთქვათ, გვაქვს თუ არა პრეტენზია ფიზკულტურის მასწავლებელთა კადრების მომზადების იმ მეთოდისადმი, რომელიც დღესაა დაკანონებული? თუ საკითხს ღრმად ჩავწვდებით, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ გვაქვს და არცთუ უსაფუძვლო.

დღეს ჩვენს რესპუბლიკაში ფიზკულტურის [illegible] პედაგოგიური კადრების შესაბამისი ფაკულტეტი და ფიზკულტურის ინსტიტუტი ამზადებენ. ორივე უმაღლეს სასწავლებელს თავისი, ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული სასწავლო გეგმა აქვს. წარმოიდგინეთ, მოთხოვნები და სასწავლო პროგრამები ყველა სკოლაში ერთნაირია, მასწავლებელს კი განსხვავებული გეგმით ამზადებენ. ალბათ, სწორედ ახლა დადგა დრო, როცა ერთხელ და სამუდამოდ უნდა გადაწყდეს საკითხი, თუ ვინ მოამზადოს სკოლისათვის ფიზიკური აღზრდის მასწავლებელი, სპეციალისტი, რომელიც თანამედროვე სკოლის მოთხოვნებს უპასუხებს. თუ აუცილებელია ორივე უმაღლესი სასწავლებელი პედაგოგთა კადრებს უშვებდეს, მაშინ იმას მაინც უნდა მივაღწიოთ, რომ სასწავლო გეგმები ჰქონდეთ ერთნაირი. ხშირად გვესმის პრეტენზიები ფიზკულტურის ინსტიტუტის მისამართით — ვიწრო სპეციალობის ფიზკულტურის მასწავლებელს ამზადებსო. რა შუაშია აქ ინსტიტუტი? ინსტიტუტი ხელმძღვანელობს საერთო საკავშირო სასწავლო გეგმით, რომლის თვითნებურად შეცვლის უფლება, ცხადია, მას არა აქვს. უფრო კონკრეტულნი რომ ვიყოთ, განვმარტავთ, რა იგულისხმება ეგრეთ წოდებულ ვიწრო სპეციალიზაციაში. ვთქვათ, ინსტიტუტში ჩაირიცხა კალათბურთელი და სწავლობს პედაგოგიური ფაკულტეტის ფიზიკური აღზრდის განყოფილებაზე. დაამთავრა ინსტიტუტი და ითვლება ფიზკულტურის მასწავლებლად, მაგრამ კალათბურთის პროფილით. სასწავლო გეგმა ასეა დამტკიცებული და იმიტომ. ცხადია, ასეთი ვიწრო სპეციალობის ფიზიკური აღზრდის მასწავლებელი დღევანდელ სკოლას, სადაც სულ უფრო იზრდება მოთხოვნები, არ გამოადგება.

პედაგოგიურ ინსტიტუტში ფიზიკური აღზრდის მასწავლებელთა მომზადება ფართო პროფილითაა გათვალისწინებული. მაგრამ აქ თავს იჩენს მეორე პრობლემა — დაბალია სპეციალისტთა მომზადების დონე და აქედან გამომდინარეობს კადრების სისუსტეც. ბევრ მასწავლებელს სრულიადაც არ მიუწევს გული სკოლისკენ. თუკი მრავალწლიანი სტატისტიკა გვარწმუნებს, რომ დიპლომიანი პედაგოგები ერთი დღითაც არ მისულან სკოლაში, უნდა დავუფიქრდეთ, იქნებ ისინი თავიდანვე ამ განწყობით შედიან ინსტიტუტში, ჩვენ კი თავს ვიტყუებთ?

როცა სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებებში ლაპარაკია მოზარდთა პროფესიულ ორიენტაციაზე, ამოცანის გადაჭრის სხვადასხვა გზის ძიებისას ყურადღებიდან არც ფიზკულტურის მასწავლებლის შესაძლებლობები უნდა გამოგვრჩეს. ფიზიკური აღზრდის მასწავლებელმა ყველაზე უკეთ იცის რომელი მოზარდია ნამდვილად გატაცებული სპორტით, აკვირდება მასში იმ თვისებებს, რაც აუცილებლად უნდა ჰქონდეს მომავალ პედაგოგს, ფიზიკური აღზრდის მასწავლებელს, მწვრთნელს. ფიზკულტურის მასწავლებელს რატომ არ მივცეთ



(დასასრული მე-2 გვ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეფორმა: რა და როგორ?

დასასრული



იმის უფლება, რომ აღძრას შუამდგომლობა სათანადო ორგანიზაციების წინაშე ამა-თუ იმ უნარიანი ახალგაზრდის ინსტიტუტში ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის სპეციალობაზე ჩასარიცხად. ასეთი ახალგაზრდა ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სულ სხვაგვარად იქნება განწყობილი მოვალეობის მიმართ.

მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ სკოლას, დავუბრუნდეთ იმ მასწავლებელთა პრობლემას, რომლებიც სკოლაში დღეს მუშაობენ და რომლებსაც მოზარდის თაობის ჰარმონიული აღზრდის მეტად საპასუხისმგებლო მოვალეობა აქვთ დაკისრებული. სამწუხაროდ, მიზეზთა და მიზეზთა გამო ხშირია შემთხვევა, როცა სტაჟიანი მასწავლებლებიც კი ტოვებენ სკოლას. მასწავლებელი ტოვებს სკოლას! ამაზე საგანგაშო რაღა იქნება საზოგადოებისათვის. მიზეზი? — რამდენიც გნებავთ. დავიწყოთ თუნდაც იმით, რომ ფიზკულტურის მასწავლებელი ძალზე გადატვირთულია, ზოგჯერ ისეთი საზოგადოებრივი დავალებებითაც, რომელსაც საერთო არაფერი აქვს მოსწავლეთა ფიზიკურ აღზრდასთან. არ არის დახვეწილი მორალური და მატერიალური სტიმულირების ფორმები. ერთ სოლიდურ თათბირზე, სადაც მსჯელობა იყო სკოლის რეფორმასთან დაკავშირებულ საკითხებზე, წამოაყენეს წინადადება, რომ ფიზიკური აღზრდის მასწავლებლებს მე-13 ხელფასი მიეცეთ. იქვე გაირკვა, რომ თურმე მასწავლებელთა ასეთი წახალისების წესი დანერგილი ყოფილა სკოლებში, მაგრამ ფიზკულტურის მასწავლებელი არავის გახსენებია. ეს ფაქტი ხომ იმაზე მეტყველებს, რომ სკოლის ხელმძღვანელები ჯეროვნად ვერ აფასებენ ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის შრომას.

უფრო მძიმე მდგომარეობაა სოფლის სკოლაში. ამ რამდენიმე წლის წინათ ახალგაზრდა სპეციალისტები ხალისით მიდიოდნენ სამუშაოდ სოფლის სკოლაში. ახლა კი მდგომარეობა შეიცვალა. საქმე ის არის, რომ მათი დატვირთვა გაიზარდა, ხელფასი კი უცვლელი დარჩა. განათლების სამინისტრომ უდავოდ კარგი საქმე გააკეთა, როცა საგანგებო ბრძანებით დაწყებით კლასებში ფიზიკური აღზრდის გაკვეთილები ამ საგნის სპეციალისტებს გადასცა. სოფლად მომუშავე მასწავლებელს, თუ მისი დატვირთვა არ შეადგენს სრულ განაკვეთს — 18 საათს და, ვთქვათ, არის გაცილებით ნაკლები, ანაზღაურებას იგი იღებს. როგორც სრულ განაკვეთზე მომუშავე პედაგოგი. დაწყებითი კლასების ფიზკულტურის გაკვეთილების გადაცემით კი დატვირთვა მაქსიმალურად მიუახლოვდა სრულ განაკვეთს. როგორც ახლა ირკვევა, სოფლად მომუშავე სპეციალისტის დაინტერესების ასპექტიც თურმე ის იყო, რომ ნაკლებ დატვირთვაში სრულ ხელფასს იღებდა. როგორც კი ეს სტიმული გაქრა, მასწავლებელმაც გული აიყარა სკოლაზეც.

•

მაგრამ სკოლა უმასწავლებლოდ არ იქნება და ჩვენც ყველანი ვალდებულნი ვართ გამოვნახოთ მათი მატერიალური და მორალური წახალისების ახალი გზები. ჩვენი აზრით, სოფლისა და ქალაქის ფიზკულტურის მასწავლებლებისათვის დატვირთვის სრული განაკვეთი ერთი და იგივე არ უნდა იყოს. ქალაქად შეიძლება დარჩეს 18 საათი, სოფლად კი, ვთქვათ, 10 ან 12 საათი ჩაითვალოს სრულ განაკვეთად, ოღონდ ქალაქთან გათანაბრებული ანაზღაურებით, ყველა დანარჩენი გაკვეთილისათვის სოფლის მასწავლებელმა მიიღოს დამატებითი ხელფასი. სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ სოფლის ფიზკულტურის მეთოდისტად მეტწილად არასპეციალისტები მუშაობენ, მაგრამ მათი უმეტესობა ვერავითარ კვალს ვერ ტოვებს, რადგან სათანადო ცოდნა და უნარი არა აქვს. რატომ არ შეიძლება, რომ სოფლის ფიზკულტურის მასწავლებელს შევუთავსოთ ეს თანამდებობა? მით უმეტეს, ხშირ შემთხვევაში კოლმეურნეობაში ან საბჭოთა მეურნეობაში მხოლოდ ფიზკულტურის მეთოდისტის არასრული — 0,5 საშტატო ერთეულია. არსებობს სხვა მოსაზრებაც: იქნებ აჯობებს რესპუბლიკის რამდენიმე რეგიონში ექსპერიმენტის სახით კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, საწარმოებს, ცალკეულ შრომით კოლექტივებს, სკოლის შეფებს უფლება ჰქონდეთ ფულადი პრემიები მისცეს ფიზკულტურის მასწავლებელს, რომელიც მათივე თანამშრომლების შვილების ფიზიკურ აღზრდას ემსახურება, ემსახურება სამაგალითოდ, ენერგიის დაუზოგავად. რატომ უნდა მივჩქმალოთ და მატერიალურად არ წავახალისოთ იმათი შრომაც, რომლებმაც ბუნებრივი სპორტული მონაცემების ყმაწვილი გამოავლინეს და გზა დაულოცეს დიდ სპორტში? უბრალო ამბავია: რაიონის ბავშვთა და მოზარდთა სპორტულმა სკოლამ, ვთქვათ, გადადო ერთი მწვრთნელის წლიური ხელფასი და იგი წლის ბოლოს გაუნაწილა ფიზიკური აღზრდის მასწავლებლებს, რომლებმაც ნიჭიერი სპორტსმენი გამოავლინეს. რაც მეტი იქნება ასეთი მასწავლებელი, მით უფრო შემცირდება სპორტსკოლის მწვრთნელთა რიცხვი, რომლებიც ათეული წლები მუშაობენ და მათ მოსწავლეთა რესპუბლიკური ნაკრებისათვის ერთი სპორტსმენიც არ აღუზრდიათ. ამ გზამ იქნებ საბოლოოდ თვით სპორტული სკოლის რეფორმამდეც მიგვიყვანოს. ასეთ აზრს რომ ვთავაზობთ მკითხველს, საზოგადოებრიობის მთავარ ინტერესსაც ვითვალისწინებთ — გზა მოვუჭრათ უქნარებს, სამაგიეროდ ჯეროვანი პატივი მივაგოთ იმათ, ვინც ამას იმსახურებს.

განსაკუთრებით მინდა შევჩერდე ფიზკულტურის მასწავლებელთა მორალური წახალისებისადმი წამყრუებლურ პოზიციაზე. რატომღაც არ მახსენდება და ალბათ ვერც მკითხველი გაიხსენებს, თუნდაც რამდენიმე ფაქტს, რომ ვეტერანი ფიზკულტურის მასწავლებელი სკოლას და საზოგადოებრიობას საზეიმოდ გაეცილებინოს პედაგოგიური სარბიელიდან. არადა, ვეტერანთა შრომის დაფასება არა მარტო მათ, არამედ ახალგაზრდა პედაგოგების რწმენასაც სჭირდება. ფიზკულტურის მასწავლებლებს, იშვიათი გამონაკლისის გარდა, დუმილით უვლიან გვერდს ჟურნალისტები და მწერლები, რეჟისორები, მხატვრები, კომპოზიტორები... დამსახურებული წოდების მინიჭება ან მთავრობის ჯილდოთი შრომის დაფასება ხომ მართლაც იშვიათია. მასწავლებელმა ათეული წლები უნდა იმუშაოს სკოლაში, რომ დამსახურებაზე წარადგინონ. იქნებ სოფელში სამუშაოდ წასულმა ახალგაზრდამ სულ ოთხ-ხუთ წელიწადში ათჯერ მეტი სასარგებლო საქმე გააკეთა, ვიდრე სხვამ 25 ან 30 წლის მანძილზე. მაშ, რატომ არ წავახალისოთ ისინი ახალგაზრდობაშივე, ეს ხომ მათ მუშაობას მეტ სტიმულს მისცემს.

თენგიზ გაჩეჩილაძე.



რედაქციისაგან: დღეს ამით ვამთავრებთ საუბარს. „ლელოს" რედაქცია იმედოვნებს, რომ ამ თემის ირგვლივ თავიანთ მოსაზრებებს გამოთქვამენ სპეციალისტები, მშობლები, ყველა, ვისაც გული შესტკივა სკოლის ავ-კარგზე, ქართული სპორტის პრობლემებზე.

პარტიულ-სამეურნეო აქტივის წინ

საქართველოში იქნება მარათონი

წინასწარ მინდა გავაფრთხილო მკითხველი: თუ არ უნდა გუნება გაიფუჭოს, დროზე მიანებოს თავი ამ წერილის კითხვას — სასიამოვნოსა და ყელის ჩასაკოკლოზინებელს შიგ ვერაფერს ნახავს.

ახლა, მთლად შხამის დანთხევასაც არ ვაპირებ, არც დასაღრჩობად ვეცემი ყელში ვინმეს — აუგი საკმაოდ ითქვა, ბევრი „ჰამო" კი ხარს გააგიჟებსო, მაგრამ არც ყველაფრის თავის ნებაზე მიგდება იქნება სწორი.

ეს წერილი უფრო იმისათვის იწერება, რომ როგორმე გამოინახოს საერთო ენა მძლეოსნობის მწვრთნელ-სპეციალისტებს შორის, ერთხელ და სამუდამოდ შეწყდეს ქიშპობა, შეიქმნას ურთიერთნდობის ატმოსფერო და ის სამუშაო განწყობა, ურომლისოდაც ნაბიჯსაც ვერ წავდგამთ წინ. ერთი სიტყვით, ეს არის უმტკივნეულო გზით საქმის მოგვარების მცდელობა.

რა თქმა უნდა, ასეთი განცხადება სულაც არ ნიშნავს, რომ არაფრისმკეთებლებმა მშვიდად მიდონ თავი მუთაქაზე და დაუსჯელად ფლანგონ საკუთარი დრო, სხვისი მოთმინება და სპორტისთვის გამოყოფილი სახსრები. ვერც იმის პირობას დავდებ, რომ სპორტული ჟურნალისტები პირზე ლიმღამოდნარნი მიაცქერდებიან ამ ნებივრობას — მშვენივრად ვიცით, რომ დიდი ძებნა არ იქნება საჭირო: საკმარისია ხელი მოაფათურო ჩვენი მძლეოსნობის ნებისმიერ კუთხე-კუნჭულში და იმდენი გულგრილობა, უსუსურობა, სიყალბე მოგყვება, ათ ამოდენა კრიტიკულ წერილს ეყოფა.

მაგრამ ალბათ კმარა ამაზე.

ნახევარი წელიწადი გავიდა მძლეოსანთა საპარტაკიადო სტარტებიდან, ლუჟნიკის მწარე გაკვეთილი კი თითქო გუშინ ჩაგვიტარეს. მარცხის გახსენება ბევრი ვერაფერი სასიამოვნოა, მაგრამ სპორტული სიამაყის ან თავმოყვარეობის ნასახი მაინც თუ შეგვრჩა, იქამდე უნდა ვიხსენოთ, იქამდე უნდა ვიწვალოთ თავი, სანამ საქმეს სასიკეთო პირი არ დაეტყობა.

ხსენებულ სპარტაკიადაზე, რა თქმა უნდა, სავსებით კანონზომიერად, დამსახურებულად დავიკავეთ ერთ-ერთი უკანასკნელი — მე-16 ადგილი, მაგრამ ერთი რამ უეჭველია: რაც უნდა მოხდეს, რა დაბრკოლებაც უნდა შეგვხვდეს მომავალში, მსგავსი შედეგის გამეორების უფლება არა გვაქვს. ეს არც მარტო ამ სტრიქონების ავტორის ჟინია, არც გულშემატკივართა ან სპეციალისტთა უადგილო სურვილი. მძლეოსნობაში მე-16 ადგილის შემყურენი რომ ვერ ვიქნებით, ეს რამდენიმე სერიოზული ფაქტორით განპირობებული აუცილებლობაა.

დავიწყოთ იმით, რომ მძლეოსნობის აღორძინების გარეშე სპარტაკიადებში ვერასოდეს დავიკავებთ ჩვენი ტრადიციების შესაფერ ადგილს. სპორტის ამ ერთადერთი სახეობის ხარჯზე ჩვენი უშუალო მეტოქენი ერთბაშად რამდენიმე ასეული ქულით გვისწრებენ. ფაქტიურად საქართველოს სპორტული დელეგაციის ავანგარდის — ოთხივე სახეობის მოჭიდავეთა მონაპოვარი ამ განსხვავების ლიკვიდაციას ეწირება.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ერთი ფაქტორიც: მძლეოსნობის ბევრი დისციპლინა უნივერსალურია იმ თვალსაზრისით, რომ თვითონ წარმოადგენს ბაზისს სპორტის სხვა სახეობებისთვის. მძლეოსნობის დონის დაქვეითებით ჩვენდა უნებურად ბევრ სხვა სახეობასაც დავუწრიტეთ წყალი.

და ბოლოს, ალბათ ყველაზე მთავარი. სპორტის უპირველესი დანიშნულება ადამიანის ფიზიკური და არა მარტო ფიზიკური სრულყოფაა. მძლეოსნობაზე უფრო ბუნებრივი გზა ამ სრულყოფისკენ (ცურვასთან ერთად) ძნელად მოიძებნება. ამ უძველესი და უმშვენიერესი სახეობის მიმდევართა ზრდით ჩვენ მივაღწევთ მთავარს — გვეყოლება ჭეშმარიტად ჯანსაღი, წელგამართული და მხრებგაშლილი თაობა. ერისთვის ეს ძალზე ბევრს ნიშნავს.

ისე კი, ყველა ზემოხსენებული ფაქტორი ერთიმეორეზეა დამოკიდებული, ერთიმეორისგან გამომდინარეობს: ჩემპიონები და რეკორდსმენები არა ჰყავთ იქ, სადაც ცოტანი და ცოტას დარბიან, ცოტა სირბილმა და მოძრაობამ კი ზედმეტი ქონი და ჯანის სისუსტე იცის.

• • •

უწინარეს ყოვლისა, ღონისძიებებზე, რომლებსაც ხმამაღლა ვამზადებთ, ხმამაღლა ვუწევთ რეკლამას და მერეც კარგა ხანს გვყოფნის ხმამაღლავე სალაპარაკოდ, სასარგებლოსა და სასიკეთოს კი ვერაფერს ვრჩებით. მორბენლისა და ფიზკულტურელის დღეზე. სპორტისა და ფიზიკური კულტურის სახელით ერთად თავმოყრილი ამდენი ხალხი ჩემ დღეში არ მინახავს. დიდი და პატარა, ბავშვი და ქალი, ქუჩები, პარკები, სტადიონები — თვალს ახარებდა იმ დღეებში თბილისი. და რა სამწუხაროა, რომ უზარმაზარი ღონისძიების შემდეგ არაფერი შეემატა სპორტს, ვერაფერი შეიძინა ფიზიკურმა კულტურამ.

თავად განსაჯოს მკითხველმა. მთელი ქვეყანა შევძარით, იმას კი ვერ მოვაბით თავი, რომ სტადიონის ბილიკებზე მორბენალ ათი ათასობით ბავშვში ბარემ პერსპექტიულნიც შეგვერჩია. აბა, რა გამოვიდა — სპორტსმენებს იმ რამდენიმე ასეულ მეტრზე გაქცევამ, ბუნებრივია, ვერაფერი მისცა, უვარჯიშებელ კაცს კი წელიწადში ერთხელ თავის გამოდება, მოგეხსენებათ, რა ზეირსაც დააყრის.

გაცილებით სასარგებლო და ეფექტური გამოდგა საქართველოს სპორტკომიტეტისა და თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს თაოსნობით მოწყობილი შეჯიბრება-შერჩევა. 2324 მეოთხე-მეხუთეკლასელი ბიჭი და გოგონა მ ვიდა ქალაქის რაიონების სპორტულ ბაზებ შეირჩა 408 პერსპექტიული მძლეოსანი. უთუ უნდა ითქვას თბილი სიტყვა ორად ორი ბავშ — გიორგი ედიბერიძისა და ნათელა თეთრაშ ლის მშობლებზე, რომლებმაც გაზეთში გამოქ ყნებული განცხადების კვალდაკვალ, დამ კიდებლად მოიყვანეს შვილები სტადიონზე. რ გორც ჩანს, ის, რომ ოთხი ასეული ბავშვი დღეს ას ორმოცდაათიღა განაგრძობს ვარჯი ჩვენი, მშობლების ბრალიც არის, ჩვენივე ბრა ეგრეთ წოდებული პრესტიჟული თუ მოდ სახეობების ამოჩემებაც და ისიც, რომ ხანდ ერთმანეთისგან ვერ ვარჩევთ მძლეოსნობასა ძალოსნობას. ტყუილად როდი მითხრა ერ ნაცნობმა მწვრთნელმა: როცა სექციაში მიღებ საქმე, მე მშობლები, მძლეოსნობისადმი მათი მოკიდებულება უფრო მაინტერესებსო.

სულ ახლახან ვწუწუნებდით თბილისში წყობილი ორი — საშემოდგომო და საგაზაფ ლო მარათონის გამო. აქეთ ეს დავიწუნეთ, ით — ის, საბოლოოდ კი „ტრადიციულად" ნათლული ის „საშემოდგომო" ამ შემოდგომ აღარ ჩავატარეთ. ძალიანაც გამოვიდოთ თავი ხმაური ავტეხოთ, პასუხისმგებელი არავინაა. რათონი უპატრონოდ არის მიტოვებული საქ თველოში და, სხვათა შორის, ამითაც ჩანს ჩვ დამოკიდებულება სპორტის დედოფლისად საწყენი კია: ეს ისტორიული დისტანცია რო რლაც ბუნებრივად იქცა გაძლების, სპორტ გმირობის, მართლაცდა ვაჟკაცური ბრძო არენად.

• • •

კიდევ ერთხელ უნდა გავიმეორო. ამ წერი საგანგებოდ ვერიდები კონკრეტული სახელ მითითებას. ვფიქრობ, გამგები გაიგებს. არ იყოს, ზოგადი მოსაზრებებითა და მინიშნ ბით სპეციალისტთა კონკრეტული საუბრ თვის გამოწვევა უფრო მიდევს გულში, თო თბილისში მომუშავე ასობით მწვრთნელ მგონი, მარტო ერთმა თუ ორმა იცის „ლელ გზა. რა თქმა უნდა, საქმიან გზას ვგულისხმ

კარგა ხანია და საკმაოდ კარგადაც ვიც მძლეოსნობაში მომუშავე ბევრ სპეციალ აუგი იმ ადამიანებზე, რომლებმაც წარსუ მართლაცდა ბევრი გააკეთეს ქართული სპ ტისთვის, ძნელად დაგცდება კაცს. თითოეუ მათგანმა უთუოდ ბევრი იცის და ბევრიც ძლია. ძალიან კარგი, მაგრამ მათი ერთად ერთმეორის მხარდამხარ მუშაობის ნაყოფი ჩანს. არადა, ხემან კეთილმან ნაყოფიც კე ლი უნდა გამოიღოს. რა ვუყოთ ამ ძველის ლსა და ბრძნულ ნათქვამს?

ცოტა და ერთობ ღარიბი მასალა რომ ხვ ამ მწვრთნელთა ხელში, ეს ერთი და აღ

ეროვნული ბიბლიოთეკა

„თოვლის ფიფქი-84“

ცოდნისა და ძალის პაექრობაში

იმ ამოცანებმა, ეტიუდებმა და კითხვებმა ჩვენი საახალწლო საჭადრაკო კონკურს-ვიქტორინის მონაწილეებს რომ შევთავაზეთ („ლელო“, 29 დეკემბერი, 1983 წ.), როგორც ჩანს, ნორჩ მოჭადრაკეთა დიდი ინტერესი გამოიწვია. რედაქციამ საკმაოდ ბევრი წერილი მიიღო. ამომხსნელებს ბევრი უმუშავიათ, სათანადო ლიტერატურაც გადაუკითხავთ, რათა დავალებებზე ამომწურავად გაეცათ პასუხი. მაგრამ საკონკურსო მოცემულობა ყველამ ვერ ამოხსნა. მართალია, თავიდან მონაწილეებს დრო ცოტა ჰქონდათ, მაგრამ მერე ოთხი დღე დაემატათ. მიუხედავად ამისა ზოგს რამდენიმე ამოცანა, ზოგსაც კითხვა დარჩა უპასუხოდ. დავალება ძნელი რომ არ იყო, იქიდანაც ჩანს, რომ ამოუხსნელი არც ერთი ამოცანა და ეტიუდი არ დარჩენილა.

გაიმარჯვეს ძმებმა პაატა და ვასილ ვაშაკიძეებმა, რომლებიც შეჯიბრებაში ერთად მონაწილეობდნენ. 15 წლის პაატა თბილისის მე-8 საშუალო სკოლის მეცხრე კლასში სწავლობს, 18 წლის ვასილი კი — თბილისის 51-ე ტექნიკურ სასწავლებელში. ორივე ძმა დაჯილდოვდა საჭადრაკო წიგნებითა და მსოფლიო ჩემპიონ მაია ჩიბურდანიძის ავტოგრაფიანი ფოტოსურათით. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ძმებმა ვაშაკიძეებმა თავი ისახელეს „ლელოს“ 1979 წლის კონკურსშიც, რომელიც ბავშვთა საერთაშორისო წელს მიეძღვნა.

მხოლოდ სამ-სამ მოცემულობაზე ვერ უპასუხეს მაია წიქარიძემ, ზაზა თედეიშვილმა, თამარ როჭიკაშვილმა, ომარ შამოიანმა, გია ორლოვმა, გოგი სიბოშვილმა (ყველა — თბილისი), მაია მაჩიტიძემ (სამტრედია), ელიზა კობახიძემ (სოფ. ნიკორწმინდა, ამბროლაურის რაიონი), თენგიზ სკურიდინმა, ირაკლი კანკავამ, კახა ჭანტურიამ (სამივე — ცხაკაია) და თეიმურაზ ბატიაშვილმა (ლაგოდეხი). მაგრამ მათი ცოდნა და მონდომება საუცხოო შთაბეჭდილებას ტოვებს.

ტყიბულელი კობა კობახიძე გვწერს, რომ მსგავსი კონკურს-ვიქტორინა არა მარტო უხალისებს არდადეგებს, არამედ ხელს უწყობს ჭადრაკის დაუფლებაში, აჩვევს ანალიზსა და წიგნებში „ქექვას“.

გამარჯვებას ვულოცავთ ჩვენი კონკურსის ლაურეატებს — ძმებს პაატა და ვასილ ვაშაკიძეებს.

ახლა შეამოწმეთ თქვენი პასუხები.

1. ქალთა პირველი საერთაშორისო ტურნირი ჩატარდა 1897 წელს ლონდონში.
2. ქალთა შორის სსრ კავშირისა და საერთაშორისო დიდოსტატის წოდებები აქვთ მხოლოდ მ. ჩიბურდანიძეს, ნ. გაფრინდაშვილს, ნ. ალექსანდრიასა და ი. ლევიტინას.
3. ქართველ ქალთაგან სსრ კავშირის ჩემპიონები იყვნენ მ. ჩიბურდანიძე (1977 წ.), ნ. გაფრინდაშვილი (1964, 1973, 1981, 1983), ნ. ალექსანდრია (1966, 1968, 1969), ნ. იოსელიანი (1981, 1982).
4. მატჩი ვადამდე დათმო ე. ლასკერმა. ეს მოხდა 1921 წელს. ხ. კაპაბლანკასთან მას 30 პარტია უნდა ეთამაშა, მაგრამ ბრძოლა შეწყვიტა მეთოთხმეტე პარტიის შემდეგ, როცა აგებდა ანგარიშით 5:9 (—4=10). უბრძოლველად ჩემპიონის ტიტული დათმო რ. ფიშერმა 1975 წ.
5. საჭადრაკო ოსკარი 1967 წელს შემოიღო საჭადრაკო ჟურნალისტთა საერთაშორისო ასოციაციამ (აიპე). ოსკარის მფლობელები არიან ბ. ლარსენი (1967), ბ. სპასკი (1968, 1969), რ. ფიშერი (1970, 1971, 1972), ა. კარპოვი (1973, 1974, 1975, 1976, 1977, 1979, 1980, 1981), ვ. კორჩნოი (1978) და გ. კასპაროვი (1982).
6. სტრიქონები — „არავის არ სძინავს ისე აბნეულად, როგორც რომ ლექსის და ჭადრაკის ოსტატებს“ ეკუთვნის გამოჩენილ საბჭოთა პოეტს პაოლო იაშვილს. ლექსი მან უძღვნა პირველ ქართველ ოსტატ ვ. გოგლიძეს.
7. პირველად ჭადრაკის ქართული სახელმძღვანელო („ჭადრაკი“) გამოიცა 1926 წელს. მისი ავტორია ჟურნალისტი მ. საყვარელიძე.
8. საქართველოს ქალთა საერთაშორისო ტურნირები ჩატარდა: პირველი 1960 წელს თბილისში (გაიმარჯვა ლ. ვოლპერტმა), მეორე 1961 წელს თბილისსა და ბათუმში (ნ. გაფრინდაშვილი), მესამე 1962 წელს თბილისსა და სოხუმში (ნ. გაფრინდაშვილი), მეოთხე 1964 წელს სოხუმში (ნ. გაფრინდაშვილი) მეხუთე 1968 წელს თბილისში (ნ. ალექსანდრია), მეექვსე 1970 წელს თბილისსა და გორში (რუმინელი ა. ნიკოლაუ), მეშვიდე 1973 წელს თბილისში (ნ. გაფრინდაშვილი), მერვე 1975 წელს თბილისში (მ. ჩიბურდანიძე, ა. ახშარუმოვა).
9. ქართველი კომპოზიტორებიდან სსრ კავშირის ჩემპიონები იყვნენ გ. ნადარეიშვილი (1978) და დ. გურგენიძე (1980).

ამოცანა № 1. გ. სიმუელი (1896 წ.). 1. მფe3. ამოცანა № 2. კ. იოზეფი (1977). 1. ეa1. ამოცანა № 3. ლ. კნოტსკი (1948). 1. ლh4 c3 2. კ×c3. ამოცანა № 4. ფ. ვლადიკი (1947). 1. კf1 მf5 2. ლd3 მ×d3; 1. ...კc6 2. მd6+; 1. ...მფd5 2. მc7+. ამოცანა № 5. ვ. ბრუსკერი (1929). 1. ეe1 მფg4 2. ეg1 მფf5 (h5) 3. მf2. ამოცანა № 6. ა. მადერი (1921). 1. ეf2 მფe5 2. ეf1 მფe6 (2. ...მფd6 3. ეe1 მფc7 4. ეd1 მფb8 5. კb6), 3. კh2 მფe7 (3. ...მფd7 4. ეe1 მფc8 5. კc6 მფd8) 4. კh3 მფd8 5. კd6. ეტიუდი № 1. ვ. დოლგოვი, ა. სიდოროვი (1967). 1. ეg2 ეb8 2. g7 ეg8 3. მფf1 მფd1 4. მფg1 მფe1 5. მფh2 მფf1 6. მფh1 მფe1 7. მფg1 მფd1 8. მფf1 მფc1 9. მფe1 c6 10. მფf1 მფd1 11. მფg1 მფe1 12. მფh2 მფf1 13. მფh1 მფe1 14. მფg1 მფd1 15. მფf1 მფe1 16. მფe1 c5 17. მფf1 მფd1 18. მფg1 მფe1 19. მფh2 მფf1 20. მფh1 მფe1 21. მფg1 მფd1 22. მფf1 მფc1 23. მფe1 ეe8+ 24. მფf2 ეg8 25. მფe3 მოგებით. ეტიუდი № 2. ა. ბროვი (1846). 1. ლd3+ მფg2 2. ლg3+ მფf1 3. ლg1+ მფe2 4. ლd1+ მფe3 5. ლd3+ მფ×d3 6. g×h8ე. პატი. ეტიუდი №3. ჰ. კასპარიანი (1968). 1. ეh3+ (1. ეh1+? ეh7 2. ე×h7+ ლ×h7 3. ეh3 ეf2+ 4. მფg3 ეf3+) 1. ...ეh7 (1. ...მფg8 2. ეg1!) 2.ლc3+ მფg8 3. ეg3+ ეg7 4. ლb3+ ლf7 5. ეa7! ლ×b3 6. ეg×g7+ მფh8 7. ეh7+ მფg8 8. ეag7++.

თენგიზ გიორგაძე,
კონკურს-ვიქტორინის ხელმძღვანელი, საერთაშორისო არბიტრი

სსრ კავშირის სპორტკომიტეტში

სსრ კავშირის სპორტკომიტეტის კოლეგიამ განიხილა საკითხი „უმაღლესი და პირველი ლიგების ოსტატ ფეხბურთელთა გუნდების უფროს მწვრთნელთა დამტკიცების“ შესახებ. სსრ კავშირის სპორტკომიტეტის კოლეგიამ განიხილა რსფსრ-ს, უკრაინის, უზბეკეთის, საქართველოს, სომხეთის, ტაჯიკეთისა და მოლდავეთის სპორტკომიტეტების, ნებაყოფლობით სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა ხელმძღვანელების შუამდგომლობანი, აგრეთვე, მწვრთნელთა პირადი განცხადებები და გაათავისუფლა დაკავებული თანამდებობიდან ოსტატთა გუნდების რამდენიმე უფროსი მწვრთნელი.

საკუთარი სურვილით გაათავისუფლეს: ნ. ახალკაცი („დინამო“ თბილისი), ვ. სოლოვიოვი („დინამო“, მოსკოვი), ვ. როდიონოვი („ლოკომოტივი“, მოსკოვი), ე. კუჩერევსკი („კოლოსი“, ნიკოპოლი), ს. ვოროტილინი („შინიკი“, იაროსლავლი), ა. კონკოვი („ტავრია“, სიმფეროპოლი).

დაბალი სპორტულ-ტექნიკური მაჩვენებლებისთვის გუნდების ხელმძღვანელობიდან გაათავისუფლეს: ა. ანდრიასიანი („არარატი“, ერევანი), ვ. გულიამხაიდაროვი („პამირი“, დუშანბე), ლ. შევჩენკო („ნისტრუ“, კიშინიოვი), ა. შესტერნიოვი (ცსკა), ვ. ტიხონოვი („ზვეზდა“, ჯიზაკი), ვ. აფონინი (ასკ, ხაბაროვსკი).

გუნდების ხელმძღვანელობის საქმეში სერიოზულ ნაკლოვანებათა გამო თანამდებობიდან გაათავისუფლეს თ. გრძელიშვილი („ტორპედო“, ქუთაისი), ი. რაშჩუპკინი („ზარია“, ვოროშილოვგრადი).

აღმზრდელობით მუშაობაში დაშვებული ნაკლოვანებებისა და ამორალური საქციელისთვის სსრ კავშირის სპორტკომიტეტმა ვოლგოგრადის „როტორის“ უფროსი მწვრთნელის თანამდებობიდან გაათავისუფლა ვ. კოროლკოვი და აუკრძალა მას მუშაობა ოსტატთა კოლექტივებში. კოლეგიამ წინადადება მისცა ყაზახეთისა და მოლდავეთის სპორტკომიტეტებს განიხილონ საკითხი ვ. კოროლკოვისთვის „ყაზახეთის სსრ დამსახურებული მწვრთნელისა“ და „მოლდავეთის სსრ დამსახურებული მწვრთნელის“ წოდების ჩამორთმევის შესახებ.

შესაბამისი რესპუბლიკური სპორტკომიტეტების, ნებაყოფლობით სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა წარდგინების შესაბამისად სსრ კავშირის სპორტკომიტეტის კოლეგიამ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდების უფროს მწვრთნელებად დაამტკიცა: ი. მოროზოვი (ცსკა), ვ. არზამასცევი („დინამო“, მინსკი), დ. ყიფიანი („დინამო“, თბილისი), ა. სევიდოვი („დინამო“, მოსკოვი), ა. ლიუბინსკასი („ჟალგირისი“, ვილნიუსი), ნ. სიმონიანი („არარატი“, ერევანი), ი. ვოლჩეკი („ლოკომოტივი“, მოსკოვი), ი. სევიდოვი („შინიკი“, იაროსლავლი), ვ. კუბლიცკი („კოლოსი“, ნიკოპოლი), ო. ბაზილევიჩი („ზარია“, ვოროშილოვგრადი), გ. კრასნიცკი („ზვეზდა“, ჯიზაკი), ლ. ნაზარენკო (ასკ, ხაბაროვსკი), ა. ბორში („ნისტრუ“, კიშინიოვი), გ. ნოდია („ტორპედო“, ქუთაისი), ვ. ჩხარტიშვილი („დინამო“, ბათუმი), გ. ლოგოფეტი („ტავრია“, სიმფეროპოლი).

ელვა-ინფორმაცია

მკითხველმა უკვე იცის, რომ თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდი ახალი სეზონისთვის ემზადება შავი ზღვის სანაპიროზე. გუშინ ეშერაში თბილისელები ამხანაგურ საკონტროლო მატჩში შეხვდნენ ალმა-ათის „ქაირატს“. გაიმარჯვა „დინამომ“ — 1:0. ერთადერთი ბურთი 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით პირველი ტაიმის მიწურულს გაიტანა შენგელიამ. თბილისელებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: ქანთარია, სვანაძე, ჩივაძე, თევზაძე, არზიანი, კაკილაშვილი, სიჭინავა, სულაქველიძე, ჟორდანია (ჟორჟიკაშვილი), ჟვანია (ცაავა), შენგელია.

გამიზეზია, მაგრამ, ვფიქრობ, მეორეც მეც მეოთხეც...

თი ოსტატობისა და პროფესიული პა ს, ბუნებრივია, გვჯერა, მაგრამ დროთა ბაში კაცი ცოტა ინერტული და ცოტა ტორი უთუოდ ხდება. ვითომ ყველა ლი მეთოდია ათვისებული, ყველა ახალ გავუსინჯეთ კბილი, რათა დაუნანებლად, რი ღიმილით არ გადაგვედო განზე? ლომდე პრინციპულნი ვართ, ბოლომდე ი ვრჩებით სპორტული კოდექსისა? ილუსტრაციოდ, თუ რამდენი რამ შე ვაკლდეს ჩამორჩენილ სახეობაში, მა დავესესხები ერთ-ერთ წამყვან სახეო ობას, რომელშიც წლიდან წლამდე არ ნებისმიერი რანგის ჩემპიონები. საუბა ოზე. მკითხველს გავახსენებ ორ თი ალოგიკურ მარცხს, ალოგიკურს, რად ცხებულნი სპორტული ტალანტით გა აღემატებოდნენ მეტოქეებს. იმ ორმა ერთი მსოფლიო და ერთი ოლიმპიური მედალი დაგვაკარგვინა.

ური ტურნირის ფინალურ შეხვედრა ო ხუბულურს ბელგიელი ვან დე ვალე ჰყავდა დამარცხებული, თამაზ ნამგალ ონელი ნაკანისი — მხოლოდ ერთხელ, ი, რომ კაცი ვერა და ვერ იფიქრებდა დე ვალე ოლიმპიურ ტურნირზე შე ლი ჩამოვიდა — ფირზე აღბეჭდილი წოდებული „ხუბულურის საქმე“ ბმა, მას შემდეგ, რაც უარი ოლიმპიადაში მონაწილეობაზე, იქ ბელგიელს გადასცეს. ასეთივე მარტივი დამარცხდა ნამგალაურიც მსოფლიო ის გადამწყვეტ შეხვედრაში. ხან აქ, ღებული ფირებისგან შედგენილი მი ეც“, ეტყობა, მშვენივრად შეისწავლეს ებმა.

ლაფერი მსოფლიო სტანდარტებს გას ჩვენს ძიუდოს ეხება. ახლა ალბათ მოსაღვენი არ არის, რა ხარვეზებითა მებით იქნება სავსე მძლეოსან მწვრ მუშაობა.

ა უნდა, ეს შეცდომები სპორტსმენთა რატომღაც ერთხელ და სამუდამოდ ული სისტემიდანაც მომდინარეობს, ა კატეგორიის სპორტული სკოლებისა საზოგადოებების შერყვნილი ურთიე ანაც, სპორტის ზოგიერთი მესვეურის ისგანაც — დღევანდელი კვერცხი არ ლინდელ ქათამს და ასე შემდეგ. ამ ობებს მოგვარება-დაწყნარება ესაჭი რძელებულ სისტემებს — გადასინჯვა. ები ამბობენ, სპორტსაზოგადოებების და, ახლა კლუბების სისტემა უფრო ეაო.

მე რომ იმ სპორტსაზოგადოებებისა ვიყო, ავდგებოდი და დავამტკიცებდი საპირისპიროს. ამის გამკეთებელი შეიძლება მოიძებნოს კიდეც იმ საზოგადოებების მესვეურთა შორის, მაგრამ, როგორც ჩანს, მარტო სურვილიც არ კმარა, ეტყობა, ამ ძველისძველ სპორტულ დაწესებულებათა სტრუქტურაში, გეგმებსა და ვალდებულებებში რაღაც არის შესაცვლელი.

ახალი, საინტერესო ფორმების გამოგონებაში ქართველები რომ მაჩანჩალანი არა ვართ, იმითაც ვიცი, რომ დღეს მთელ ევროპას მოდებული სპორტული სკოლა-ინტერნატის იდეა ჩვენშია დაბადებული. ამ იდეის პრაქტიკული ხორცშესხმის შემდეგ ჯერ ლენინგრადის, მერე კი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მძლეოსნებმა არნახულ წარმატებებს მიაღწიეს.

ერთი რამ ცხადია: რაც უფრო დამოუკიდებელი იქნება სპორტული დაწესებულება, მით უკეთესად მოუვლის საქმეს. თორემ რა გამოდის — ვაკის მძლეოსნურ მანეჟთან არსებობს უმაღლესი დაოსტატების რესპუბლიკური სპორტული სკოლა, რომელმაც შევსება უნდა მიიღოს უფრო დაბალი კატეგორიის სკოლებიდან. წესითა და კანონით, ამ სკოლაში უნდა ჩაირიცხოს არანაკლებ I თანრიგის მქონე სპორტსმენი. თუ არ ვცდები, სკოლის მოთხოვნილების დაკმაყოფილება მთელ რესპუბლიკასაც კი გაუჭირდება. ტყუილად დგომას და სხვის ხელებში ყურებას არ ჯობს იქვე, სკოლაშივე, გაიხსნას მოსამზადებელი ჯგუფები, თვითონვე აღზარდოს სკოლამ რეზერვი?

ეს კანონსაწინააღმდეგო მოქმედებაო, მეტყვიან. ის კი კანონიერია, რომ ნახევარ ასეულზე მეტი კვალიფიცირებული მწვრთნელი გულხელდაკრეფილი იდგეს და არარსებულ პირველთანრიგოსანთა გამოჩენას ელოდეს?

მძლეოსნური მანქანა მოშლილია მთელი რესპუბლიკის მასშტაბით და თითო-ოროლა დამნაშავის ძებნა მართებული არ იქნებოდა.

და მაინც ერთი სერიოზული არგუმენტის გამო ვფიქრობ, რომ დამოუკიდებელი სპორტული ცენტრების არსებობა უფრო გამართლებულია. ნიმუშად (არ მინდა შექებად ჩამომართვან ეს სიტყვა) საქართველოს პროფსაბჭოს სპეციალიზებულ სპორტულ სკოლას დავასახელებდი.

ნებისმიერ სკოლას სპორტსმენის აღზრდის ასე თუ ისე საკუთარი სისტემა აქვს გამომუშავებული. თუკი იქამდე მივედით, რომ სახლი მუშაობის ერთი სტილის მქონე ადამიანთა ჯგუფმა — ბრიგადამ აშენოს, რაღას ვერჩით სპორტსმენს? რატომ ვატარებთ სპორტული სკოლიდან სპეციალიზებულ სპორტულ სკოლაში, იქიდან — უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლასა და სპორტსაზოგადოებებში? სხვა პირობები, სხვა ატმოსფერო, სხვა მწვრთნელები, სხვა მეთოდები... აი ამ ჭრელი სპორტული ვოიაჟის რომელიმე ეტაპზე ძალზე ხშირად წყდება სპორტული შედეგების ზრდა და კაცი აღარ კითხულობს, როდის, ვის მიერ დაშვებულ შეცდომებს ზღავს სპორტსმენი. ესეც არ იყოს, სხვაზე დამოკიდებული, სხვისთვის „მომუშავე“ სკოლა მაინცდამაინც არ არის დაინტერესებული თავისი პროდუქციის ხარისხით. მისთვის მთავარია დოკუმენტი. „ათი თანრიგოსანი? ინებეთ, ბატონო, ათი.“ იმ ათი სპორტსმენიდან მომავალში თუნდაც ვერც ერთმა ვერ შეასრულოს ოსტატობის კანდიდატის ნორმა, სკოლას აღარაფერი მოეთხოვება. შესაძლოა ის შედეგები ფიქციური იყო, შესაძლოა 15-16-წლიანი ბიჭების ნაცვლად 17-18 წლის სპორტსმენები შეაპარეს, ისიც შეიძლება, რომ აჩქარებული მეთოდებით (სპორტსმენის ჯანმრთელობის ხარჯზე) შესრულდა ის თანრიგი და რა გასაკვირია, რომ ლიმონივით გამოწურულ, ჯერ კიდევ ზრდადაუსრულებელ ბიჭს მეტი აღარ შეუძლია? ვის სჭირდება ეს ყველაფერი?

დამოუკიდებელი სპორტული ცენტრების შექმნა ალბათ ძალიან ძნელია, მაგრამ სანაცვლოდ იქ ბევრი ამგვარი საკითხი თავისთავად მოგვარდებოდა.

რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი უფრო ფიქრია, ვიდრე კონკრეტული, გაზომილ-გაანგარიშებული წინადადება. შესაძლოა მძლეოსანთა უზარმაზარმა არმიამ სულ სხვა, უფრო სწორი და რეალური გამოსავალი ნახოს, მით უმეტეს, რომ, დარწმუნებული ვარ, არავითარი გადაუჭრელი პრობლემები არ არსებობს. არის აზროვნების ინერტულობა, სულმოკლეობა, უძირო პატივმოყვარეობა, მცირე გარჯა და საკმაოდ დიდი ხელფასები, რაც, თუ სადმე სამართალია, სპორტული შედეგების პროპორციულად უნდა იცვლებოდეს.

ცხადია, მხოლოდ სპორტული სკოლები, განსაკუთრებით კი სპორტსაზოგადოებები არ აგებენ პასუხს ამ სახეობის ასერიგად დაბეჩავებისათვის. მძლეოსნობის ჩამორჩენა სხვა გარემოებებმაც გამოიწვია. მკითხველს ახსოვს, რომ კრიზისს წინ უძღოდა „დინამოს“ სტადიონის რეკონსტრუქცია. იმ ხანებში დედაქალაქის მძლეოსნები ფაქტიურად სპორტული ბაზის გარეშე იყვნენ (ჯერ მხოლოდ ფეხს იკიდებდა მანეჟების იდეა) და, რა გასაკვირია, რომ ნელ-ნელა დავთმეთ ის მცირე მონაპოვარიც? ახლა ყველაფერი თითქოს რიგზეა, მაგრამ... „დინამოს“ სტადიონი ამას წინათ იქ გამართული „ავტომანქანების ცირკის“ შემდეგ სავარჯიშოდ და მძლეოსანთა შეჯიბრებების ჩასატარებლად აღარ გამოდგება. ამ ატრაქციონის მსახიობებს თავიანთი ავტომანქანები რომ არ ენანებათ, ეს იმათი საქმეა, მაგრამ რას ერჩოდნენ მასპინძლები თითქმის ერთადერთ ხელოვნურსაფარიან სარბენ ბილიკს, ჩემთვის გამოცანად რჩება.

ჩვენმა, საფუძველშივე მცდარმა შეხედულებებმაც საკმაოდ დაგვაზარალა. როგორც ჩანს, დავიწყებას უნდა მივცეთ ის აზრი, თითქოს ქართველებს გამორჩეული დისციპლინების (სპრინტი, ტყორცნები) ნიჭი გვაქვს, დანარჩენები კი ჩვენს ბუნებას არ მიესადაგება. ადრინდელი წარმატებები ამ სახეობებში ალბათ მანეჟების არარსებობით და საქართველოს კლიმატური პირობებით უნდა აიხსნას. როცა ჩრდილოეთის რესპუბლიკების სპორტსმენები ზამთრობით იძულებულნი იყვნენ ვარჯიში შეეწყვიტათ, ჩვენში მეცადინეობის საშუალება ფაქტიურად მთელი წლის მანძილზე იყო.

ამგვარი ტენდენცია შესაძლოა იმითაც იყოს გამოწვეული, რომ ნიჭიერი მტყორცნელი ან სპრინტერი უფრო იოლი მისაყვანია თანრიგის დონემდე, ვიდრე იმავე ნიჭის მქონე — გამძლეობის სახეობებში, სადაც რაღა თქმა უნდა, მეტი ოფლისღვრაა საჭირო.

ბოლო სპარტაკიადაზე სომხეთის სიგრძეზე მხტომელებმა იმაზე მეტი ქულა მოაგროვეს, ვიდრე მთელმა ჩვენმა მძლეოსანთა გუნდმა. ვის მოუვა ფიქრად, რომ ჩვენი სამხრეთელი მეზობლები სიგრძეზე ხტომის განსაკუთრებული ნიჭით არიან დაჯილდოებულნი? მიხედეს, უპატრონეს და შედეგმაც არ დააყოვნა.

ერთი სიტყვით, ამაზე ლაპარაკი ალბათ წყლის ნაყვაა. დღეს 800 და 1500 მეტრზე მორბენლებს ისევე ესაჭიროებათ სპრინტერული სიჩქარე, როგორც სტაიერული გამძლეობა, სტაიერებს კი სპრინტერული სისწრაფე. ოლიმპიური თამაშების ოთხგზის ჩემპიონი ლასე ვირენი მონრეალის თამაშებში სამ დისტანციაზე ასპარეზობდა. ჯერ 5 და 10 კმ მოიგო, მერე კი მარათონში მეხუთე მივიდა ფინიშთან. მიუნხენში 5 კმ დისტანციის ბოლო 1500 მ 3.44,7-ში, 400 კი 56,1 წამში გაირბინა.

ასე რომ, კაცმა, რომელიც იტყვის, ტყორცნა შეგვიძლია, სპრინტიც ჩვენი საქმეა, გრძელ მანძილებზე სირბილი კი არაო, ქუდი უნდა დახუროს და მძლეოსნობა დატოვოს.

* * *

ახლო მომავალში იმედია მოწესრიგდება „დინამოს“ სტადიონის ბილიკები. ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ „ლოკომოტივის“ სტადიონიც რაც შეიძლება მეტად „გავამძლეოსნუროთ“, ორი საკმაოდ კარგი მანეჟი გვაქვს, ჩემს ინტუიციას თუ ენდობა მკითხველი, სულ უფრო მეტად იგრძნობა თბილისელთა დაინტერესება რბენით, თვით მძლეოსნებშიც შეიმჩნევა სტაიერული დისტანციებისადმი ლტოლვა, გაზაფხულზე ალბათ საკუთარ კროსსაც მოაწყობს ჩვენი გაზეთი, და საერთოდ, გულწრფელად მჯერა და ძალიან მინდა, სხვამაც ირწმუნოს — საქართველოშიც იქნება მარათონი!

ირაკლი ბერიაშვილი.

ფავორიტის სავიზიტო ბარათი

სულ უფრო ცოტა დრო რჩება სარაევოს „თეთრი ოლიმპიადის" გახსნამდე. ჟურნალისტთა ერთი ნაწილი უკვე დაბინავდა თამაშების დედაქალაქში და პირველ რეპორტაჟებსაც წერს. მიუხედავად იმისა, რომ შეჯიბრებაში საქართველოს წარმომადგენლები არ მონაწილეობენ, ამ ასპარეზობისადმი ინტერესი ჩვენს რესპუბლიკაშიც მეტად დიდია.

სწორედ ამიტომ, გადავწყვიტეთ თამაშების გახსნამდე დარჩენილ დროში სისტემატურად გავაცნოთ „ლელოს" მკითხველებს მომავალი ოლიმპიადის ფავორიტები სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

დღეს ვბეჭდავთ „ფავორიტის სავიზიტო ბარათის" პირველ გამოშვებას.

სათხილამურო სპორტი

გუნდე სვანი

შვეცია

დაიბადა 1962 წლის 12 იანვარს დალა-იარნაში
სიმაღლე: 185 სმ; წონა 78 კგ.
კლუბი: „დალა-იარნა იკ"
მწვრთნელი: აკე იონსონი
პროფესია: სტუდენტი

უმნიშვნელოვანესი სპორტული მიღწევები. მსოფლიოს ჩემპიონატები იუნიორთა შორის: 1980 — II ადგილი ესტაფეტაში; 1981 — III ადგილი 15 კმ რბოლაში, II — ესტაფეტაში; 1982 — VI ადგილი 15 კმ რბოლაში, I — ესტაფეტაში; მსოფლიო თასი, 1983: II ადგილი საერთო ჩათვლაში.

გუნდე სვანი შვეციის მოთხილამურეთა ნაკრების ყველაზე დიდი იმედია. წლეულს ამ 22 წლის ჭაბუკმა უკვე ბევრ საერთაშორისო ასპარეზობაში სცადა ძალა და ბევრი გამარჯვებაც მოიპოვა. სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი, ლეგენდარული სიქსტენ იერნბერგი ასე აფასებს თავის შესაძლო მემკვიდრეს: „დარწმუნებული ვარ, სვანი ჩვენი მორიგი დიდი ვარსკვლავი იქნება, ისეთი, როგორიც თომას ვასბერგია. მას მებრძოლის გული და უდიდესი შინაგანი ტემპერამენტი აქვს. თუ ამას გამარჯვების საოცარ წყურვილსაც დავუმატებთ, ნათელი გახდება, ვისთან გვაქვს საქმე".

თავად სპორტსმენი საკუთარ შესაძლებლობებზე მეტად მოკრძალებულად ლაპარაკობს: „მე ჯერ ახალგაზრდა ვარ და კიდევ ბევრი უნდა ვისწავლო. ალბათ ბევრმა წყალმა უნდა ჩაიაროს, სანამ უმაღლეს დონეს მივაღწევ".

აღსანიშნავია, რომ სვანის მეუღლე მარი იოჰანსონი ასევე შვეციის მოთხილამურეთა ოლიმპიური ნაკრების წევრია. ასე რომ, სარაევოში ამ წყვილს ერთმანეთის მხარდაჭერის იმედიც აქვს.

* * *

ოლიმპიადის გახსნის ცერემონიალში ყველაზე ამაღელვებელი მომენტი ოლიმპიური ცეცხლის ანთებაა. იუგოსლავიის ოლიმპიურმა კომიტეტმა ეს სახიამოვნო, მაგრამ ამავე დროს საპასუხისმგებლო მისია სუსტი სქესის წარმომადგენელს, ფიგურული ციგურაობის ცნობილ ოსტატს სანდრა დუბრავჩიჩს მიანდო.

სანდრა დუბრავჩიჩის საპატიო მისია

ეს მომხიბვლელი გოგონა 19 წლისაა. მისი სიმაღლეა 167 სმ, ხოლო წონა — 57 კგ. 1981 წელს მან ვერცხლის მედალი მოიპოვა ევროპის ჩემპიონატში და იმავე წელს სპორტულმა ჟურნალისტებმა იუგოსლავიის № 1 სპორტსმენად დაასახელეს. დუბრავჩიჩი თავისი ქვეყნის რვაგზის ჩემპიონია — 1976 წლიდან მოყოლებული ეს ტიტული არავისთვის დაუთმია.

გთავაზობთ მოკლე ინტერვიუს ამ სპორტსმენთან:

● **როგორ შეხვდით ცნობას იუგოსლავიის ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილების შესახებ?**

— თავიდან ისე გამიკვირდა, ხმაც ვერ ამოვიღე. მერე უსაზღვრო სიხარული დამეუფლა, რადგან მივხვდი, რაოდენ დიდი პატივი მხვდა წილად.

● **თქვენი აზრით, წმინდა სპორტული ფუნქციის გარდა, რა ფუნქცია აკისრია თანამედროვე ოლიმპიურ თამაშებს?**

— უპირველეს ყოვლისა, ეს არის მშვიდობის, მეგობრობისა და ხალხთა შორის ურთიერთგაგების განმტკიცება. მწამს, რომ დღევანდელ დაძაბულ პოლიტიკურ ვითარებაში მსოფლიოს ახალგაზრდობის ეს შეხვედრა მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს მშვიდობის საქმეში. მშვიდობა თუ არ იქნა, ხომ აღარც სპორტული შეჯიბრებები იარსებებს.

● **პირადად თქვენ, სპორტული თვალსაზრისით, რა იმედებს უკავშირებთ სარაევოს?**

— ჩემთვის ოლიმპიურ ასპარეზობაში მონაწილეობა თავისთავად უკვე უზარმაზარი წარმატებაა. არა მგონია, მედლის მოპოვება შევძლო. მოხარული ვიქნები, თუ ჩემი რომელიმე თანამემამულე, ვთქვათ, ტრამპლინიდან მხტომელი ულაგა, ან სამთომოთხილამურე კრიჟაი, საპატიო კვარცხლბეკზე დაიკავებს ადგილს.

● **შარშანდელი სეზონის ბოლოს ხმა დაირხა, თითქოს ეთხოვებით აქტიურ სპორტს...**

— დიახ, ასეა. წლევანდელი სეზონი უკანასკნელი იქნება ჩემს სპორტულ კარიერაში, მერე კი სწავლას მივხედავ.



ველური ბალღის მორჯულება

თავისი მიღწევებითა და მოპოვებული ჯილდოების სიუხვით მსოფლიოში ცოტა თუ შეედრება იასუჰირო იამასიტოს — ჰიდაობა ძიუდოს დიდოსტატს. მართლაც ძალზე შთამბეჭდავია ამ ახალგაზრდა ათლეტის წარმატებები.

იამასიტო ახლა 26 წლისაა. დაიბადა იაპონიაში, 1957 წლის 1 ივნისს. ბავშვობიდანვე დაუოკებელი ტემპერამენტით გამოირჩეოდა.

— მე ერთი ველური ბავშვი ვიყავი — აღიარებს იასუჰირო. დიახ, ამაო იყო მისი მორჯულების ყოველი ცდა. მშობლებს აღარ უყოყმანიათ, ადგნენ და ძიუდოს სავარჯიშო დარბაზში მიიყვანეს. მიიყვანეს და მასზე მკაცრი კონტროლიც დააწესეს. ბოლოს მის მორჯულებასაც დაადგა საშველი. ახლა იგი მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი სპორტსმენი და პოპულარული პიროვნებაა.

— ვისწავლე კი საკუთარი თავის დაურვება? როგორც ჩვენთან, იაპონიაში ამბობენ, იამასიტოს დამშვიდება შეუძლებელია, მაგრამ მე მაინც ჩემი მოსაზრება მაქვს. გასახდელში რომ შევდივარ, ძალის მოზღვავებას ვგრძნობ. ვეკითხები თავს: ვარ თუ არა საბრძოლველად მზად? შემიძლია თუ არა გავცე ყოველივე? აზრით ვედავები მოწინააღმდეგეს. გონება ჯერ კიდევ ბურუსშია, ვდგები და პასუხი უკვე ნაპოვნი მაქვს: შთავაგონებ საკუთარ თავს—მე კარგადა ვარ მომზადებული... ბრძოლის დაწყების გეგმა უკვე მზად მაქვს.

ტატამზე მისი ყოველი გამოჩენა მაყურებლისათვის ზეიმია. თითქმის ყოველი ორთაბრძოლა იამასიტოს აშკარა უპირატესობით მიმდინარეობს, თუმცა თითოეულ გამოსვლაში მოწინააღმდეგის პატივისცემა და მისადმი მოკრძალებაც იგრძნობა.

სანიმუშოა იამასიტოს [illegible] ცხოვრების წესით. 128 კგ წონის და 180 სმ სიმაღლის ათლეტი ყოველდღე შვიდის ნახევარზე დგება. ვარჯიშობს საათსა და თხუთმეტ წუთს. ათის ოცი წუთიდან 16 საათამდე უნივერსიტეტშია — სემინარებსა და ლექციებზე. 16 სათსა და 40 წუთზე კი იწყება სამსაათიანი სპეციალური წვრთნა ძიუდოში. წრთობისა და ვარჯიშის ეს თავისებური მეთოდი მუდამ გაკვირვებას იწვევდა ევროპაში. სხვათა შორის, წვრთნის ყოველწლიური სპეცკურსი ტოკიოს უნივერსიტეტშიც კი იკითხება.

— კვირადღე ჩემთვის სხვანაირად გადის. მძინავს დიდხანს, მივდივარ კინოში ან საუნაში, ვისვენებ. ვიკრებ იმდენ ძალას, რამდენიც საჭიროა მთელი კვირისათვის.

იამასიტოს შესახებ წიგნები დაიწერა, ფილმებიც გადაიღეს. იგი საყოველთაოდაა აღიარებული, მაგრამ წარმატების ყველა მწვერვალი ჯერ არ არის დაპყრობილი — იამასიტო არ არის ოლიმპიური ჩემპიონი, არა და როგორ უნდოდა! შეეძლო კიდეც ჯერ კიდევ 1980 წელს, მოსკოვის ოლიმპიადაზე. იგი მოსკოვში ჩამოვიდა... როგორც ტურისტი, ბრძოლას თვალყურს ადევნებდა როგორც მაყურებელი.

— ძალიან მინდოდა ტატამზე გამოსვლა, მაგრამ უფლება არ მქონდა. გახსოვთ ალბათ, იაპონიამ უარი განაცხადა ოლიმპიადაში მონაწილეობაზე. ახლა მთელი ჩემი გულისყური ლოს-ანჯელესისკენაა მიპყრობილი.

მეტად საჭირო გამარჯვებაზე ფიქრობს იასუჰირო იამასიტო ახალ, 1984 წელს.

კლაუს-დიტერ კიმელი.

გერმანულიდან თარგმნა ჰ. კუდავამ.

ჩვენი გაზეთის 15 იანვრის ნომერში დაიბეჭდა სხვადასხვა სპორტული გაზეთისა თუ გამოცემის მიერ ჩატარებული რეფერენდუმების ლაურეატთა სია. ახლა გაგაცნობთ 1983 წლის იმ საუკეთესო სპორტსმენებს, რომლებიც ჩვენს სიაში არ იყვნენ მოხსენიებული:

კვლავ ანკეტები

● **ბელგიის** № 1 სპორტსმენად აღიარებულია ედი ანიე (მძლეოსნობა).

● **ფინეთის** უძლიერეს სპორტსმენთა სამეული ასეთია: კრისტინა ლილაკი (მძლეოსნობა), ჰანუ მიკოლა (მოტოსპორტი), ტაპიო სიპილია (ჰიდაობა).

● **საფრანგეთში** ჩატარებული გამოკითხვის შედეგად საუკეთესოთა ტიტული მოიპოვეს ჩოგბურთელებმა იანიკ ნოამ (ვაჟთა შორის) და პასკალ პარადიმ (ქალთა შორის). ვაჟთა კონკურსში II ადგილი დაიკავა ცნობილმა ფეხბურთელმა მიშელ პლატინიმ, ხოლო III — ველომრბოლელმა ლორან ფინიონმა.

● **დიდ ბრიტანეთში** ქალებში გამარჯვებულად ჩოგბურთელი ჯოუ დერი გამოაცხადეს, ვაჟთა შორის კი I-II ადგილები შესაბამისად მიაკუთვნეს სტივ კრემსა და დეილი ტომპსონს (ორივე — მძლეოსნობა). გუნდებში გამარჯვება მიენიჭათ მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონებს ფიგურულ ციგურაობაში ჯეინ ტორვილსა და კრისტოფერ დინს.

● **იუგოსლავიაში,** როგორც უკვე ვწერდით, ვაჟთა შორის უძლიერესის ტიტული მოიპოვა დრაგუტინ შურბეკმა (მაგიდის ჩოგბურთი). ქალებში გაიმარჯვა მირიანა იოვოვიჩმა (ტყვიის სროლა). ვაჟთა გუნდების კონკურსში გაიმარჯვა დრაგუტინ შურბეკისა და ზორან კალინიჩის წყვილმა, ქალთა საუკეთესო კოლექტივია ბელგრადის „რადნიჩკი" (ხელბურთი).

● **კუბაში** საუკეთესო სპორტსმენთა წოდება მოიპოვეს: ვაჟებში — მოჭიდავე კანდიდო მესამ, ქალებში — მოფარიკავე მარგარიტა როდრიგესმა. № 1 სპორტსმენად იუნიორთა შორის მიჩნეულია ენრიკე საბორი (ძალოსნობა). საუკეთესო გუნდის ტიტული მოიხვეჭა ბეისბოლისტთა ეროვნულმა ნაკრებმა.

ევროპის ჩემპიონატი ● ფინალური გათამაშების რეგლამენტი

ფეხბურთის მოყვარულებმა კარგად იციან, რომ 10 იანვარს პარიზში გაიმართა ევროპის ჩემპიონატის ფინალური გათამაშების წილისყრა, ფინალისტთა წინასწარი ჯგუფების შემადგენლობაც ცნობილი გახდა. ახლა გთავაზობთ ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის ცნობას, თუ როგორ და როდის ჩატარდება გათამაშება, თამაშების კალენდარს და, საერთოდ, ჩემპიონატის საბოლოო ეტაპის რეგლამენტს.

1 **ჯგუფი.** **საფრანგეთი, დანია, ბელგია, იუგოსლავია.**

II **ჯგუფი.** **გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, პორტუგალია, რუმინეთი, ესპანეთი.**

I ჯგუფის შეხვედრათა კალენდარი:

12 ივნისი, პარიზი. საფრანგეთი — დანია.

13 ივნისი, ლანი. ბელგია — იუგოსლავია.

16 ივნისი, ნანტი. საფრანგეთი — ბელგია; **ლიონი.** დანია — იუგოსლავია.

19 ივნისი, სენტ-ეტიენი. საფრანგეთი — იუგოსლავია; **სტრასბურგი.** დანია — ბელგია.

II ჯგუფის შეხვედრათა კალენდარი:

14 ივნისი, სტრასბურგი. გფრ— პორტუგალია; **სენტ-ეტიენი.** რუმინეთი — ესპანეთი.

17 ივნისი, ლანი. გფრ — რუმინეთი; **მარსელი.** პორტუგალია— ესპანეთი.

20 ივნისი, პარიზი გფრ — ესპანეთი; **ნანტი.** პორტუგალია — რუმინეთი.

ნახევარფინალები გაიმართება 23 და 24 ივნისს. I ჯგუფის გამარჯვებული მარსელში შეხვდება II ჯგუფში II ადგილზე გასულ გუნდს, ხოლო II ჯგუფის გამარჯვებული ლიონში ეთამაშებს I ჯგუფში მეორე პრიზიორთან.

27 ივნისს პარიზში გაიმართება ფინალური მატჩი. ევროპის წინა ჩემპიონატებისგან განსხვავებით მატჩი მესამე ადგილისთვის არ შედგება.

ევროპის ჩემპიონატის ფინალური სტადიის მატჩები ჩატარდება საფრანგეთის 7 ქალაქში. საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ფ. სასტრმა აღნიშნა, რომ ჩემპიონატის მონაწილეებს, მაყურებლებს და სტუმრად ჩამოსულ ტურისტებს არ ექნებათ არავითარი დაბრკოლება ქალაქიდან ქალაქში მოგზაურობისა და დაბინავების, აგრეთვე, კულტურული მომსახურების მხრივ. კერძოდ, ჩემპიონატის მატჩების 700 ათასი ბილეთიდან 40 პროცენტი განკუთვნილია უცხოელი ტურისტებისათვის, საფრანგეთის ხელისუფლება ყველა ზომას მიმართავს, იმისათვის, რომ აქაურ ქალაქებში, საავიაციო, სარკინიგზო და საავტომობილო ტრანსპორტზე, უშუალოდ სტადიონებზე სრული წესრიგი სუფევდეს.

მოზრდილთა გუნდებისთვის ევროპის ჩემპიონატის წილისყრის პარალელურად 10 იანვარს პარიზში გაიმართა კონტინენტის ახალგაზრდული ჩემპიონატის წილისყრაც (ფეხბურთელთა ასაკი 21 წლამდე).

ევროპის ახალგაზრდული გუნდების მეოთხედფინალური მატჩები გაიმართება 11 აპრილს. ამ დღეს ერთმანეთს შეხვდებიან ინგლისი — საფრანგეთი, შოტლანდია — იუგოსლავია, ალბანეთი — იტალია, პოლონეთი — ესპანეთი. ნახევარფინალური შეხვედრები შედგება 2 მაისს, ხოლო ფინალი — 30 მაისს.

რედაქტორი ა. გოგელია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; კადრების — 93-97-26; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი — 96, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, სოშარაულის, 2ъ. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
ИНДЕКС 66435
უე 07014